

როგორ გამოვიყენოთ ხანის აკადემია დისტანციური სწავლებისთვის სკოლების დახურვის პერიოდში?

ძვირფასო მასწავლებლებო და მშობლებო,

ვიცი, რომ ბევრი სკოლა და ოჯახი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებისთვის ემზადება.

გვესმის, რომ ზოგიერთ თქვენგანს აინტერესებს, როგორ შეუძლია სწავლის სახლში გაგრძელება. ჩვენ შევქმენით რესურსები და დავგეგმეთ ვებინარები, რომლებიც „ხანის აკადემიის“ ნაყოფიერად გამოყენებაში დაგეხმარებათ.

„ხანის აკადემია“ არის უფასო რესურსი მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისთვის და მშობლებისთვის.

მოსწავლეებს შეუძლიათ, ისწავლონ და განივითარონ უნარები პერსონალიზებული, დახელოვნებაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო სისტემის მეშვეობით. შედეგებითი ვიდეოები მოსწავლეებს მასალის შესწავალსა და გამოცდებში ეხმარება, ჩვენი სავარჯიშოები და ტესტები კი მოსწავლეებს უნარების დაუფლების საშუალებას აძლევს.

- „ხანის აკადემიის“ ექსპერტების შექმნილი, სანდო, საგანმანათლებლო სტანდარტებზე დაფუძნებული სავარჯიშოებისა და გაკვეთილების კატალოგი მოიცავს ისეთ საგნებს, როგორცაა მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია და პროგრამირება. ქართულ ენაზე უკვე ხელმისაწვდომია 4 ათასზე მეტი ვიდეო და 4 მილიონზე მეტი სიგევა.
- მოსწავლეები უნარებს ივითარებენ სავარჯიშოებით, ტესტებითა და დახელოვნების გამოწვევებით და სწრაფადვე იღებენ შეფასებასა და დახმარებას.
- მოსწავლეები სასწავლო პროცესში აქტიურად არიან ჩართული: ისინი თვალს ადევნებენ საკუთარ პროგრესს და ტესტებით ამოწმებენ ამა თუ იმ უნარის დაუფლების დონეს.
- „ხანის აკადემია“ 40-ზე მეტ ენაზეა ხელმისაწვდომი, მათ შორის, ქართულად.
- მოსწავლეებს „ხანის აკადემიის“ გამოყენება შეუძლიათ როგორც კომპიუტერით, ისე მობილური აპლიკაციით.

პლაგფორმა მასწავლებლებს მათთვის განკუთვნილ ხელსაწყოებსა და ანგარიშებს სთავაზობს

- მასწავლებლებს შეუძლიათ, მარტივად დაავალონ მოსწავლეს მთლიანი კურსი - მაგალითად, შესავალი ალგებრაში - ან რომელიმე თავი ან უნარი.
- მასწავლებლები მარტივად აღეწევენ თვალს მოსწავლის პროგრესს ჩვენი ანგარიშების დახმარებით.

რესურსები სკოლისთვის და მასწავლებლისთვის: როგორ შეგიძლიათ „ხანის აკადემიის“ გამოყენება?

ჩვენ გვაქვს არაერთი დამხმარე რესურსი, მათ შორის დეტალური გზამკვლევი და ვიდეოები მასწავლებლებზე, რომლებიც მოსწავლეებს ავალენ „ხანის აკადემიის“ ვიდეოებსა და სავარჯიშოებს და მათ პროგრესს აკვირდებიან. ყველა ეს რესურსი ხელმისაწვდომია [„მასწავლებლის რესურსებში“](#). მასწავლებლებს შეუძლიათ, შემოუერთდნენ ჩვენს ქართულენოვან Facebook ჯგუფს [„მასწავლებლები ხანის აკადემია“](#).

შეგიძლიათ, დაესწროთ უფასო ინგლისურენოვან ვებინარს მასწავლებლებისთვის, რომელთაც „ხანის აკადემიის“ გამოყენება სურთ. ვებინარი 1 მარტს, ხუთშაბათს, საქართველოს დროით დილის სამ საათზე ჩატარდება. იგეგმება, ასევე, ქართული ვებინარის ჩატარება. გამოგვყევით ქართული „ხანის აკადემიის“ [Facebook გვერდზე](#), რომ მიიღოთ ინფორმაცია ვებინარის ჩატარების დროსთან დაკავშირებით.

როგორ დაიწყოთ პლატფორმის გამოყენება:

1. [შექმენით უფასო ანგარიში](#) ჩვენი მთავარი გვერდიდან.
2. [დაათვალიერეთ](#) ჩვენი უფასო მასალა.
3. ნახეთ [მასწავლებლებისა](#) და [მშობლების](#) რესურსები და გაიგეთ, როგორ დაავალოთ მოსწავლეს ამა თუ იმ კურსის დახელოვნება.

შეკითხვები გაქვთ? მოგვწერეთ: info@educaregeorgia.org

„ხანის აკადემია“ არაკომერციული ორგანიზაციაა

ჩვენი მისიაა, ყველას, ყველგან მივაწოდოთ უფასო, მსოფლიო დონის განათლება. ჩვენ გვსურს, წვლილი შევიტანოთ საგანმანათლებლო თანასწორობის განვითარებაში. ჩვენ,

ასევე, თვალს ვადევნებთ COVID-19 ვირუსის გავლენას და მზად ვართ, დაგეხმაროთ საგანმანათლებლო ბარიერების გადალახვაში.

საუკეთესო სურვილებით,

„ხანის აკადემიის“ გუნდი